# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— პარასკევი, 5 მაისი 1900 წ. № 1115

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## ფარსული ფლეების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—32)

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—**ადრესისა** და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება **„მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.** (რ 0—12)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—46)


### მთავრობის განკარგულებანი

ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი კოლ. სეკრეტ. ილია კოტეტაშვილი გადაყვანილი იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელედ.

დაინიშნენ: გლეხი ალ. სანიკიძე აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელედ; გლ. ტაბატაძე, აზნაური გლ. ჭუმბურიძე, ამბრ. კირცხალია და კარლამ ღლონტი—ფოსტალიონებათ ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებისა: ტაბატაძე—ტფილისისა, ჭუმბურიძე—ქუთაისისა, კირცხალია—ფასანაურისა და ღლონტი—ერევანისა.

გადაყვანილ იქმნენ: ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი კარლამ ღლონტი და ბათუმის—ალ. ჯაბიძე ერთმანერთის ადგილზე.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თავისავე თხოვნის თანახმად, ართვინის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი დავ. ბახტაძე.

ტფილისის სახაზინო პალატის მოხელე ნიკ. იოსელიანი დაინიშნა ამავე პალატის ბუჰგალტრის თანაშემწედ.

თიონეთის სამაზრო მმართველობის კანცელარიის მოხელე ვასილ იორამიშვილი გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე თიონეთის მომრიგებელ სასამართლოში.

## ახალი ამბავი

— 3 მაისს, დილის $11^1/_2$ საათზე, ჩვეულებრივის პარაკლისის და დაფიცების შემდეგ, გაიხსნა იმერეთის **სათავად-აზნაურო მორიგე კრება.** კრების სხდომები საქალაქო ტეატრის დარბაზშია მოთავსებული. პირველ დღეს ხალხი შედარებით სხვა წლებთან, მცირეა. კრება გაიხსნა გუბერნიის მარშლის თ. სვ. წერეთლის სიტყვით, რომლითაც იგი სიხარულით მიეგება ლეჩხუმისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობის შეერთებას და შემდეგ დაწვრილებით მოახსენა საზოგადოებას ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოსი მომხდარის შემთხვევის გამო გავრცელებულის ამბების შესახებ. დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

— მისის ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით **ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი** მიბრძანდება ქ. ქუთაისს, სადაც უნდა **ჩაიბაროს** მართვა იმერეთის ეპარქიისა. ნაცვლად ყოვლად სამღვდელო ბესარიონისა, რომელიც ორის თვის ვადით ქ. პიატიგორსკში მიბრძანდება ავადმყოფობისა გამო.

— „ჩერნომ. ვესტნიკის“ სიტყვით, ბათუმში განუზრახავთ ქალაქის **საკრედიტო საზოგადოების** დაარსება. ამ დღეებში შეუდგებიან წესდების შედგენას, ნორმალურ წესდების მიხედვით. განზრახულს ბანკს შემწეობას დაჰპირებიან ადგილობრივი კაპიტალისტები.

— ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს წარუდგინოს საბჭოს პროექტი **ხორცის გასასყიდი საქალაქო დუქნების დაარსების** შესახებ. გუბერნატორის აზრით, ამგვარი დუქნები დაარსებულ უნდა იქმნან ქალაქის განაპირა ადგილებში—ავლაბარში, ვერაზე, დიდუბეში და სხვაგან.

— „ცნობის ფურცლის“ მე-1098 ნომერში, 16 აპრილს, დასტამბული იყო შენიშვნა შესახებ ხორცის სიძვირისა და საქალაქო საყასბოების საჭიროებისა. აქვე ნაჩვენები იყო საიდან ავლოთ საჭირო ფული საქმის მოსაწყობად და სხ. როგორც ზემოდ დაბეჭდილ შენიშვნიდან დაინახავს მკითხველი, ახლა ამისათვის ბ-ნ გუბერნატორსაც მიუქცევია ყურადღება გამგეობისა და წინადადებას აძლევს—საკუთარი დუქნები გამართეთო, როგორც სხვა ქალაქებშიაო. რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც ერთ რუსეთის ქალაქში არ არის საქალაქო დუქნები, გარდა ერთის, ვგონებთ, ეკატერინოდარისა; იქაც ქალაქს მოიჯარადრე ჰყავს, რომელიც საქალაქო დუქანში ჰყიდის ხორცს. ტფილისათვის საჭიროა საყასბოს გამართვა, ხოლო სხვის მიხედვით კი არა, არამედ თავის უნარით, რომელიც ასე ნაკლებად გამოიჩინა ტფილისის გამგეობამ და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ამისთანა საჭირო საგანის დაწესება უბძანეს.

— სახალხო თეატრისთვის ადგილის მოსაძებნად არჩეულ საბჭოს კომისიის ერთ წევრისაგან ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

„ბ-ნო რედაქტორო! „ცნობის ფურცელში“, 2 მაისს, დაბეჭდილი იყო შენიშვნა შესახებ სახალხო თეატრის აშენებისა ტფილისში. ამ შენიშვნაში ზოგიერთი ისეთი შეცდომაა, რომლის გასწორება სასურველია, და არ შემიძლიან ამის გამო ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა.

1) ავტორი ამბობს, რომ ქალაქის კომისია, გამგეობა და საბჭო აპირებენო თეატრის აშენებას ვერის ხიდთან, ყორღანოვის მიწაზე, ისეთს ადგილას, რომელიც ვითომც **წყალშია ეხლა.**

ნამდვილად კი იმ ადგილს, რომელიც არჩეულია სახალხო თეატრისათვის, სრულებით წყალი არა სწვდება. ეს ადგილი მტკვრის ნაპირას კი არ არის, არამედ ცოტა მოშორებით, იქ სადაც ჩინუხინის სახლი სდგას და ყორღანოვის ტყის საწყობია. იქამდის წყალი არ მიდის, მაგრამ რადგან ზოგიერთი ჰმოწმობდნენ, რომ იშვიათად წყალი იმ ადგილსაც ოდნავ შეეხებოდაო ადრე, კომისიამ დაადგინა ხიდთან კედელი აშენდეს. ეს კე-

დელი, როგორც ინჟენრები ამბობენ, ეღირება 1500 ან 2000 მან., და არა 12—15,000 მან., როგორც შენიშვნის ავტორი ამბობს. ეს კედელი აშენდება ქალაქის და ყორღანოვის ხარჯით, და არა მარტო ქალაქის ან „საზოგადოების“ ხარჯით, როგორც კიდევ შეცდომით ამბობს შენიშვნის ავტორი. მაგრამ კედელიც რომ აშენდეს, თეატრის ადგილზე არასოდეს არ შეიძლება ითქვას, ვითომ ის წყალში სდგასო. კედელი კომისსიას მხოლოდ ადგილის დასაზღვევათ ჰსურდა მერმისისთვის, და არა იმიტომ, რომ ეხლავე საჭიროა კედელი. სახლებსაც აზღვევენ ხოლმე ცეცხლისაგან, მაგრამ არავინ აქედან დასკვნას არ გამოიყვანს, რომ ასეთი სახლი ცეცხლში სდგასო ეხლავე.

ამ ჟამად, 4 მაისს, მტკვარი ძლიერ ადიდებულია, ნაპირები ვერის ხიდთან ზოგიერთ ადგილას ძლიერ წალეკილია, მაგრამ წყალი მაინც არ შეხებია იმ ადგილს, რომელზედაც სახალხო თეატრის აშენებას ვაპირებთ. ეს იმიტომ, რომ ხსენებული ადგილი ისე ახლო არ არის მტკვართან. ამ ადგილს გვერდზე უდგია ჩენუხინის სახლი, რომელიც წყალს არას დროს არ წაულეკია, და თუ იტყვიან როდისმე წალეკავსო,—ეს მხოლოდ გაბედული გულთმისნობა იქნება.

2) ზემოხსენებულის შენიშვნის დამწერი ამბობს კიდევ, რომ უკეთესი იქნებოდა ან სხვაგან ადგილი ეყიდნათო, ან ალექსანდრეს ბაღთან, ქალაქის შუაგულ ადგილას, ქალაქის მიწაზე, სადაც დუქნებია, იქ აეშენებინათო თეატრი. ამის წინააღმდეგ უნდა ვთქვა, რომ „საზოგადოებას“ იმდენი შეძლება არა აქვს, რომ იყიდოს მიწები, მეტადრე შუაგულ ქალაქში, სადაც ყოველ ადლს თუმნობით და არა მანათობით აფასებენ. ქალაქის მიწა კი ალექსანდრეს ბაღთან მეტად მცირეა. სახალხო თეატრისათვის საჭიროა არა ნაკლებ 200—300 კვ. საჟენისა, ხსენებულ ადგილას კი 100 საჟენიც ძლივს მოიპოვება. ან რა საჭიროა სახალხო თეატრი უეჭველად შუაგულ ქალაქში იმყოფებოდეს? ღარიბი ხალხი უფრო განაპირასა სდგას და თეატრი ვერის ხიდთან უფრო დააკმაყოფილებს ვერის, კუკიის და დიდუბის მცხოვრებთ, ვიდრე თეატრი ალექსანდრეს ბაღთან. მართალია ბევრი ქალაქის მცხოვრები არ იქნება დაკმაყოფილებული, მაგრამ იმათთვისაც უფრო სასურველია თეატრი სადმე ავლაბარში, ვიდრე შუაგულ ქალაქში. ამ ჟამად ქალაქის კომისია ეძებს მიწებს ძველ ქალაქშიაც, იქ ცალკე თეატრის ასაშენებლად, და კარგი იქნება გაზეთებიც დაეხმარნონ მას ამ ძნელ საქმეში“.

✦ სამხედრო-საექიმო აკადემიის კონფერენციას განუხილავს უკვე კითხვა **რეალისტების აკადემიაში მიღების შესახებ**. კონფერენციას სასურველად დაუნახავს, რომ აკადემიაში მიღებულ იქმნან რეალურ სასწავლებლის კურს-შესრულებულნი; მათ უნდა დაიჭირონ მხოლოდ ეგზამენი ლათინურ ენაში, ისიც შემოკლებულის პროგრამით. კონფერენციის მოხსენება გადაეცა განსახილველად საერო განათლების სამინისტროს. პროექტის განხორციელება მოხდება მხოლოდ 1901 წელს.

✦ მკითხველებმა უწყიან, რომ კავკასიის საექიმო საზოგადოებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა მოაწყოს საქმე ქართულ და სომხურ ენებზე **სახალხო წიგნაკებისა და ფურცლების** გამოცემა საექიმო და საჰიგიენო შინაარსით. ხსენებულ კომისიას უკვე დაუსრულებია თავისი შრომა და წარუდგენია პროექტი საექიმო საზოგადოებისათვის. პროექტის უმთავრესი ნაწილი უკვე განიხილა საზოგადოების კრებამ ორ მაისს, ასე რომ მალე კიდეც შეუდგებიან ამ წიგნაკების გამოცემას. უკვე გადათარგმნილია და დასაბეჭდად მომზადებულია წერილები ქუნთრუშის, ყვავილის და სიფილისის შესახებ. წიგნაკები მეტად იაფად ეღირება და ბევრიც უფასოდ დაურიგდება სოფლელებს. განზრახულია, შემდეგში თათრულ ენაზედაც გამოსცენ ამგვარივე ბროშიურები და ფურცლები.

✦ ტფილისის ნოტარიუსად განსვენებულ ა. პოლტარაცკის მაგივრად დანიშნულია ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი-მოსამართლე **ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი**.

✦ 2 მაისს, სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში მოხდა **ვაჭრობა** იმ მამულებისა, რომელთა პატრონთაც არ შეუტანიათ სავადო გარდასახადი. სულ დანიშნული იყო გასასყიდად 60 მამული. გაიყიდა კი—8; ამათგან 6 ტფილისის გუბერნიაში და 2—ქუთაისისაში. ხელმეორედ ვაჭრობა დანიშნულია 30 მაისს.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა ქალაქის მდივნის თანამდებობაზე **ს. თ. ჭრელაშვილი**.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა საბჭოს მიერ არჩეული წევრები ქალაქის **სამოსწავლო კომისიისა**.

✦ ორშაბათს, 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის საოლქო სასამართლოს დარბაზში მოხდება **სხდომა ტფილისის იურიდიული საზოგადოებისა**. სხდომის საგნები: ადმინისტრატიული კითხვები თვით საზოგადოებისა; ნ. ნ. მაკსიმოვის რეფერატი „სასჯელთა ერთობა. ჩვენი კატორღა“. იურიდიული საუბარი ზოგიერთ სადავო კითხვების შესახებ. სხდომას შეუძლიათ დაესწრნენ არა წევრნიც.

✦ ტფილისის თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიას შეუდგენია უკვე **პროექტი სათავად-აზნაურო თეატრის გადაკეთებისათვის**. პროექტი ხარჯთ აღრიცხვით წარედგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს.

✦ ხვალ, 6 მაისს, მოხდება **საცდელი დაკვლა საქონლისა** ნიხრის შესაცვლელად.

✦ ჩვენ გვწერენ: „12 აპრილს, ს. ოცხანაში (ბასილეთის საზოგადოება გურიაშია), გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიის მესამე კლასის მოსწავლე **ვასილ ივანეს ძე ჟღენტი**. განსვენებული იყო ფრიად დინჯი, წყნარი კაცი და საყვარელი ამხანაგი ხსენებული სემინარიის მოსწავლეებისა. ის, იმედებით სავსე ახალგაზდა, ჰლამობდა თავისი ძალ-ღონე—ენერგია ჩვენი ბეჩავი ხალხისთვის შეეწირა. მაგრამ ეგ აღარ დასცალდა საცოდავს და მოსწავლე ახალგაზდობის მტარვალმა სენმა, ჭლექმა, მასაც მოუღო ბოლო. განსვენებული თუმცა ჯერ სრულიად ახალგაზდა იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ დაჰკვირვებოდა ჩვენს ყოველ-დღიურ ცხოვრებას და უკვე დაენიშნა გზა მასთან, მისს მათახსირებელ ძალასთან საბრძოლველად. განსვენებულის ხან-მოკლე შრომა ჩვენს ლიტერატურასაც ერგო: შარშან დაიბეჭდა მისი საუცხოვოდ ნათარგმნი პუშკინის მოთხრობა «მეკუბოვე»“.

✦ „ივერიას“ დეპეშით აუწყებენ იურიევიდან: „2 მაისს აქ გარდაიცვალა მეხუთე კურსის სტუდენტი-ექიმი გიორგი ქუთათელაძე“.

✦ პეტერბურგში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც მიზნადა აქვს გააცნოს აღმოსავლეთის ერებს რუსეთი და ეცადოს მათს რუსსეთთან დაახლოვებას. ამას გარდა საზოგადოებას მიზნად აქვს გაავრცელოს აღმოსავლეთის ერთა შორის რუსეთის კულტურა. საზოგადოების დამაარსებელნი არიან რუსეთის ელჩი რომში ბ-ნი ნელიდოვი, ყაზანის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდალი გენ.-ად. გ. ვ. მეშჩერინოვი, რუსეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი თ. ა. უსპენსკი, საიმპერატორო ერმიტაჟის ზედამხედველი ა. კ. მაკაროვი და სხვანი. განზრახულის სისრულეში მოსაყვანად საზოგადოება აპირებს გამოიკვლიოს აღმოსავლეთის ხალხთა ყოფა-მდგომარეობა ეკონომიურის და ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ; ჰმართოს დრო გამოშვებით გამოფენები, რათა გააცნოს მიმსვლელთ აქაური ვაჭრობა, მრეწველობა, ბუნებითი სიმდიდრენი, მცხოვრებთა ზნე ჩვეულებანი; დააარსოს კურსები აღმოსავლეთის ენების შესასწავლად და ჰმართოს ლექციები სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნების შესახებ.

✦ გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია შემოიღოს **ნომრებიანი ადგილები** მგზავრთა მსწრაფლ მატარებლებში.

✦ გზათა უწყების განკარგულებით გაუქმდა **ფასანაურის** „**ზასტავა**“, გზა-ტკეცილის ხარჯის ასაკრებათ არსებული.

✦ **ცეცხლისაგან დამზღვევ** ტფილისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც არ შესდგა 30 აპრილს, ხელ-მეორედ დაინიშნა 14 მაისისათვის.

✦ სათანადო უწყებას განუზრახავს გააფართოვოს ბუნების-**მეტყველების** პროგრამმა ქალთა საშუალო სასწავლებლებში.

✦ აპრილის განმავლობაში ტფილისში შემოურეკიათ გასასყიდათ 2068 ხარი, 354 ძროხა, 136 კვებულა, 500 ხარ-კამბეჩი და 107 ფურ-კამბეჩი. სულ ტფილისში სხვა-და-სხვა მხარედან შემოურეკიათ 3165 სული საქონელი.

✦ აპრილის განმავლობაშივე ტფილისის საყასპოში დაუკლავთ 3181 მსხვილ-ფეხი საქონელი, 5535 ცხვარი, 628 ბატკანი, 27 ღორი, 472 ხბო და 93 ჩვილი ხბო.

✦ დღეს, თორმეტ საათზე, დიდუბის მინდორზე გაიხსნება ცხენის სავაჭრო ბაზარი. ჯერ პარაკლისი იქმნება გარდახდილი. ბაზრის (იარმუკის) გახსნაზე მიწვეულნი არიან ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ბ-ნი ბერგი და სხვ.

✦ ქალაქის თხოვნით, მთავარ-მართებლის თანაშემწემ ნება დართო

რომ კვირაში ორჯერ სამხედრო მუზიკამ დაუკრას ალექსანდროვის ბაღში.

✦ უკანასკნელ სამ დღეში მეტად ადიდდა მტკვარი. წყალმა დაჰფარა რიყე დესიმონოვს მოედნამდე, მადათოვის კუნძულის ნაპირები და სხვა დაბალი ადგილები. ახლა წყალი კლებულობს.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი.

**ოდესა.** მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და სადგურიდან პირდაპირ კადეტთა კორპუსში წავიდა.

**მოსკოვი.** მოსკოვის ახლო, თავ. ლიევენის მამულში, არსდება ახალშენი მშობლების მიერ მიტოვებულ ბავშვებისათვის. მამულის პატრონი სწირავს ადგილს, გრაფი ორლოვ-დავიდოვი აშენებს სახლს.

საბჭომ დაადგინა დაარსოს 50 პენსია სუვოროვის სახელობაზე, რომელნიც მიეცემა სამსახურ შესრულებულ ჯარის-კაცებს.

**ლონდონი.** კრონშტადტიდან იუწყებიან 14 მაისს, რომ ლინდლეიში მოხდა ბურების სამხედრო თათბირი; გარდაწყვეტილია, რაც შეიძლება დიდის ხნით დაიცვან გარრისმიტი.

ლორენცო-მარკეზიდან „დეილი მაილ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ, პრეტორიიდან მოსულ ცნობებით, კვირა დილას ბადენ პაუელმა გადასცა მეფკინგი ბურებს. სნეიმანი იტყობინება, რომ ბადენ-პაუელი 900 კაცით ტყვედ არის წაყვანილი.

**ნიუ-იორკი.** ბურების მისიის შეხვედრაზე დეპუტაციის წევრმა სთქვა, რომ ნიუ-იორკის კომიტეტი ეცდება მისიის ნიუ-იორკში ყოფნა სასიამოვნოთ გახადოს და სარგებლობა მოუტანოს მათს სამშობლოს. მისიის წევრმა ფიშერმა იმედი გამოაცხადა, რომ ამერიკა მიიღებს თავის თავზე მედიატორობას ინგლისისა და ტრანსვაალის შუა. მისსია ეცდება, რომ იგი მიღებულ იქმნას მაკ-კინლეის მიერ. თუ მისსიამ ვერ მოახერხა და ამერიკის მთავრობა არ იკისრებს მას, რაც მისსიას ჰსურს, იგი მიჰმართავს თვით ამერიკის ერს, რათა უკანასკნელმა აკისრებინოს თავის მთავრობას შუამდგომლობა.

**ბრანდფირტდრიფტი.** ლედიბრანდის ოლქი დასტოვა მტერმა, რომელიც წავიდა ლინდლეისაკენ.

**ლონდონი.** „დეილი მალ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ შაბათს მოხდა საშინელი ბრძოლა მეფკინგთან. ჰფიქრობენ, რომ ბრძოლა დასრულდა ინგლისელების გამარჯვებით. ბურებმა იერიში მიიტანეს ქალაქზე არტილლერიით. მალე ცეცხლი წაეკიდა კაფრების უბანს; მოხერხებულის მოძრაობით ინგლისელები გარს შემოერტყნენ ბურების რაზმს, რომელმაც დაიჭირა კაფრების უბანი. ასტყდა ცხარე ბრძოლა. უკანასკნელის ცნობებით, ბურებს კიდევ უჭირავთ კაფრების უბანი, მაგრამ შემდეგ მათ, ალბად, გარს შემოერტყნენ ინგლისელები. ბურების მოტრფიალე პარტიამ ლორენცო-მარკეზში ტყუილი ხმა გაავრცელა, ვითომც შაბათს მეფკინგის კაფრთა უბანში ცეცხლი გაჩენილიყოს და შემდეგ ბრძოლა ატეხილიყოს. ბადენ-პაუელმა სთხოვა ბურებს ბრძოლის შეწყვეტა და კვირა დღეს იარაღი დაჰყარა. ლორენცო-მარკეზში პრეტორიიდან მოსულმა ბურებმა მოიტანეს სნეიმანის შემდეგი დეპეშა: „სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ტყვედ წავიყვანე ბადენ-პაუელი 900 კაცით“. „დეილი მალ“-ის კორრესპონდენტი ამას უმატებს: ეჭვს გარეშეაო, რომ მეფკინგში საშინელი ბრძოლა ყოფილა და რომ კაფრების უბანი დაუჭერიათ. მაგრამ ამგვარსავე დეპეშებს ბურები გზავნიდნენ ლედი-სმიტისა და ვეპენერის შესახებაც.

**ლონდონი.** მეფკინგის აღების შესახებ აქ ნაშუადღევის ორ საათზე არაფერი იციოდნენ.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება: „ჩვენ დავიჭირეთ გლენკო. ტრანსვაალის ბურებმა თავი დაანებეს ბიგგერის მთებს. მთებში დარჩა ცოტაოდენი ჯარი ორანჟეს ბურებისა. გლენკოში მოიტანეს 11 ზარბაზანი, რომლებიც ინგლისელთ წაურთმევიათ ბურებისთვის. რკინის გზის მატარებელი ეხლა დადის ვესსელ-ნევამდე“.

**რომი.** გამოცხადდა მეფის ბრძანება პარლამენტის სესსიის გადადების შესახებ.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა უბოძა გერმანიის ტახტის მემკვიდრეს ბრილიანტის ნიშნები ორდენის „იმთიაზისა“

**ლონდონი.** ოფიციალურის ცნობებით, ინგლისელების ჯარებს 2 მაისამდე დააკლდა 18.799 კაცი. ამათ რიცხვში არ არის შეტანილი ავადმყოფები და დაჭრილნი.

**აკრა.** კუმასის გუბერნატორი იუწყება, რომ, თუ მას დაუყოვნებლივ არ მოეხმარებიან, ის იძულებული გახდება შეებრძოლოს მტერს, რომელიც კუმასის გარშემო სდგას.

4 მაისი

**პეტერბურგი.** დაინიშნა მე-6 კორპუსის უფროსი გენერალი კულგაჩოვი—სამხედრო საბჭოს წევრად; წევრი ალექსანდროვის კომიტეტისა დაჭრილთათვის გენ. გრიპპენგერი—მე-6 კორპუსის უფროსად მე-15 ქვეითა დივიზიის უფროსი გენ. ფილიპპოვი—მე-11 კორპუსის უფროსად.

3 მაისს სავარჯიშო ნავთ-სადგურში ნაღმის ნავზე, № 38, გასკდა ქვაბი. მოკლულ იქმნა ექვსი კაცი და ერთიც სასიკვდილოდ დაიჭრა.

**ხარკოვი.** ბანკირი მარკუს შკაფი გამოცხადებულ იქმნა გაკოტრებულად, ვალი ერთი მილიონი მანეთია. შკაფი გაიქცა საზღვარ გარედ.

**კრონშტადტი.** ორი ოფიცერი და 6 ჯარის კაცი კრონშტადტის ახლო მახლო აგროვებდნენ სანოვაგეს და როდესაც მიუახლოვდნენ ფერმას, რომელზედაც ფრიალებდა თეთრი ბაირაღი, 15 ბურმა, ვედელს უკან მიმალულებმა, დაუშინეს თოფები. ორი ჯარის კაცი მოკლეს, ერთი ოფიცერი დასჭრეს, დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს.

**დენდი.** ბურებთა რიცხვი, რომელთაც ღამე დაიწიეს უკან, ოთხი ათასია, მათ წაიღეს თან 18 ზარბაზანი და ბარგი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ გაათავა განხილვა ფლოტის შესახების კანონ-პროექტისა და გარდასწყვიტა, რომ კანონ-პროექტი შევიდეს ძალაში იმ პროექტთან ერთად, რომელიც შეეხება იმპერიის საგერბო გარდასახადის კანონსა და სადამოჟნო ტარიფსა, რომლის შემოსავალმა უნდა დაჰფაროს ხარჯები.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში არა იციან-რა იმისი, რომ ლორენცო-მარკეზში შეუპყრიათ გემი დატვირთული ამერიკაში სახანგრძლივოდ მომზადებული ხორცით. მთავრობა ჰფიქრობს, რომ პორტუგალიას ნება აქვს აკრძალოს შემოტანა საქონლისა და თუ ამერიკის კონსული წინააღმდეგობასგამოაცხადებს ასეთის მოქმედების შესახებ დახმარებას რა აღმოუჩენთო.

**ლისსაბონი.** გარეშე საქმეთა მინისტრი უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც ტრანსვაალის მთავრობამ სთხოვა პორტუგალიის კონსულს, დასტოვე ტრანსვაალიო. მინისტრმა დასძინა, რომ ლორენცო-მარკეზში, მართალია, შეპყრობილ იქმნა ტვირთი სახანგრძლოდ მომზადებულის ხორცისა და სანოვაგისა, აგრეთვე ტანისამოსისა, რომელიც უნდა მიეტანათ მეომართა ერთ ერთის სახელმწიფოსათვის, ისიც ვიდრე საბოლოოდ გარდასწყდებოდეს საქმე, მაგრამ იმ ტვირთს შეუძლებელია კონტრაბანდა დაერქვას.

**ლორენცო-მარკეზი.** ხმა დადის, რომ იოჰანესბურგში შედგენა ამ ორ ძალთა (დედაკაცთა) კორპუსისა მიაჩნიათ იმ უკანასკნელ ღონისძიებით, რომელმაც უნდა ერთხელ კიდევ აღაფრთოვანოს ბურები პრეტორიაში. საერო კრების საიდუმლო სხდომაზედ იყო სჯა იოჰანესბურგის უმთავრეს შენობათა და სამადნო მღვიმეების დაქცევის შესახებ. რა გარდასწყდა სხდომაზედ, არ იციან. მხოლოდ უცხოელნი წარმომადგენელნი მღვიმების საზოგადოებათა შეფიქრებულნი არიან და ამიტომ მიჰმართეს მოწოდებით თავიანთ კონსულებს და სთხოვეს უეჭველი დახმარება.

**კონსტანტინოპოლი.** წინააღმდეგ ბაქტეროლოგის ნიკოლლას მოხსენებისა, დამტკიცებულია, რომ სმირნაში უპოვიათ შავი ჭირის ბაცილები. სასანიტარო საბჭოში დადგენილ იქმნა სმირნიდან მომსვლელებზე სასანიტარო-საპოლიციო ზედამხედველობა იქონიონ. სმირნაშივე აღმოჩენილ იქმნა, რომ ბევრი ვირთაგვები იხოცებიან.

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 კ. |
| სუკი . . . . | 1 | › | —15 კ. |
| › ცხვრისა . | › | › | —11 კ. |
| › კამეჩისა. . | › | › | — 5 კ. |
| › ღორისა. . | › | › | — 8 კ. |
| › ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | › | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| › › | II › | › | › | $3^1/_2$ › |
| › › | III › | › | › | 3 › |
| იგივე თორნისა | I › | › | › | 5 › |
| › › | II › | › | › | 4 › |
| › › | III › | › | › | $3^1/_2$ › |
| ლავაში ჯკ. მძ. | I › | › | › | 6 › |
| › › | II › | › | › | 4 › |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოჯზალეზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88—85 | |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70— | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20— | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10— | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60— | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60— | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50— | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60— | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28— | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ბადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ღარიბთ უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისში, თანახმად დებულებისა ცხენის ბაზრის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისიდან არსდება

**ცხენების ბაზარი,**

რომელიც გაგრძელდება 18 მაისამდე. ბაზრისთვის ადგილი ინიშნება დიდუბეში, კავკასიის ცხენის მოშენების საზოგადოების მოედანზე.

(ნ. 1—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

# დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.

გამოცემა

**საჩინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . | «—50 |
| ღაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . . | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი . . . . . . . | «—70 |
| იგივე II ტომი . . . . . . . | «—60 |
| იგივე III ტომი . . . . . . . | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | «—60 |
| იგივე II ტომი . . . . . | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . . | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა . . . . | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . . | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| რძე მისივე . . . . . . . . . | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . | «—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება . . . . . . . . | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 1 მ. 50 „ |
| | ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 „ |
| | იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Мая, 1900 г. სტამბა იმჟღ.-ების რედაქტორი თ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.